მოძრაობა „კავკასია ჩვენი საერთო სახლია“ - განვითარების დინამიკისა და მარცხის მიზეზების კრიტიკული ანალიზი.

ირაკლი ხვადაგიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა: კავკასია ევროპულ და გლობალურ კონტექსტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, ფილოსოფიის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

აბსტრაქტი

საერთო კავკასიური სოლიდარობის იდეა არაერთგვაროვან შეფასებებს და დამოკიდებულებას იწვევს, თუმცა ფაქტია, რომ იგი კავკასიის რეგიონში პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ, დრო და დრო აქტუალური ხდება, თუმცა პოლიტიზების ხარისხიდან გამომდინარე და მეცნიერული კვლევისა და ანალიზის სიმწირის გამო არ არსებობს ლოგიკურად დასაბუთებული პასუხი - რამდენად აქვს იდეას ობიექტური საფუძველი, რაციონალური ხასიათი და რაზე მეტყველებს ამ იდეის განხორციელების მცდელობების ისტორია. ნაშრომი ცდილობს გაანალიზოს საერთო კავკასიური სოლიდარობის ისტორიული და სოციალური საფუძლები და განვითარების დინამიკა, სხვადასხვა დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით და უშუალო თანამონაწილეთა გამოცდილების შესწავლის გზით ერთ-ერთი ბოლო ორგანიზებული კამპანიის - „კავკასია ჩვენი საერთო სახლია“-ს იდეური და პრაქტიკული შესაბამისობის დადგენას „ისტორიულ ტრადიციასთან“ და ცდილობს განსაზღვროს ის ობიექტური გარემოებები და ჩავარდნები, რამაც მოძრაობის მარცხი განაპირობა 1990-იანი წლების დასაწყიში, რაც ამ იდეის თანამედროვე კონტექსტთან დამოკიდებულების და სამომავლო პერსპექტივის შეფასებაში დაგვეხმარება.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: „კავკასიური სოლიდარობა“, „მწვანეთა მოძრაობა“, „კავკასია ჩვენი საერთო სახლია“.